ათასწლეულის ფონდი MILLENNIUM FOUNDATION

ვაკანსია: ათასწლეულის ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

Vacancy: Millennium Innovations Award and PR Officer

ბოლო ვადა: 2023 წლის 22 დეკემბერი

ააიპ ათასწლეულის ფონდი აცხადებს საბუთების მიღებას საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის (Millennium Innovations Award and PR Officer) პოზიციაზე.

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- ბაკალავრის ხარისხი საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის ან სხვა რელევანტურ სფეროში;
- ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილი ფლობა (მინიმუმ B2);
- კონკურსების და პროექტების მართვის გამოცდილება;
- უცხოეთში მიღებული განათლება კანდიდატურებს მიანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას;
- კანდიდატი უნდა იყოს კომუნიკაბელური, დეტალებზე ორიენტირებული, მოტივირებული, ჰქონდეს დროის ეფექტიანად მართვის უნარები;
- კომპიუტერული პროგრამების ფლობა (MS Office, etc.);
- მთავრობასთან და ბიზნესთან მუშაობის გამოცდილება.

დასაქმებულის მიერ შესასრულებელ სამუშაო:

- დასაქმებული ეხმარება ფონდის აღმასრულებელ დირექტორს საჯარო და კერძო პარტნიორებთან ურთიერთობის სტრატეგიის განხორციელებაში;
- ღონისძიებების დაგეგმვა, კოორდინაცია და მართვა;
- ათასწლეულის ფონდის პუბლიკაციების, სტატიების, პრეს-რელიზების, სარეკლამო ვიდეო-ფოტო მასალების მომზადება და კონტრაქტორებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების დაგეგმვა და მართვა;
- ათასწლეულის ფონდის ვებ-გვერდის და სოციალურ მედიია გვერდების (FB, Instagram, LinkedIn და ა.შ) მართვა, ვებ–გვერდი უნდა შეიცავდეს უახლეს ამბებს ორგანიზაციის PR საქმიანობის შესახებ, წარმატების ისტორიებს, ინფორმაციას მიმდინარე კონკურსებზე და სხვა;
- ბრენდინგი - უზრუნველყოს, რომ ათასწლეულის ფონდმა, მისმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა და კონტრაქტორებმა დაიცვან ფონდის ბრენდინგი;
- მედიასთან ურთიერთობა - ურთიერთობს მედია საშუალებებთან, გეგმავს პრესკონფერენციებს, მედია ინტეგრაციას;
- ათასწლეულის ფონდის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს და ათასწლეულის ინოვაციების ჯილდოს კონკურსების (პროექტები) მართვა; პროექტის დაგეგმვა, შესრულება და მისი მონიტორინგი; პროექტის ბიუჯეტის მართვა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება; პროექტის ადგილობრივ და საერთაშორისო პარნტიორებთან თანამშრომლობა და კოორდინაცია;
- დონორებთან მუშაობა და თანხების მოძიება ათასწლეულის ინოვაციების კონკურსის და ფონდის სხვა პროექტებისთვის;

- აღმასრულებელი დირექტორის მიერ დავალებული სხვა საჭირო საქმიანობების შესრულება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, რომ თქვენი რეზიუმე ან CV გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: info@millennium.org.ge

იმეილის სათაურში მიუთითეთ: PR Officer. გთხოვთ, რეზიუმეს/CV-ს დაურთოთ ორი რეკომენდატორის სახელი/გვარი/პოზიცია/ტელ/ელფოსტა.

საბუთების გამოგზავნის ბოლო ვადაა **2023 წლის 22 დეკემბერი.**

გისურვებთ წარმატებას!